

შპს „ვარკეთილარი“
(ს/ნ 206149522)

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ანგარიში კომპილაციის შესახებ	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6 - 12

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“).

შპს „ვარკეთილარი“
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2020	2019
შემოსავალი გაზის მიწოდებიდან	4	7,703,743	7,455,457
სხვა საოპერაციო შემოსავალი		218,190	259,339
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(6,380,188)	(6,158,078)
საერთო მოგება		1,541,745	1,556,718
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
ფინანსური ხარჯი, ნეტო	5	(1,426,923)	(1,418,735)
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე		(77,428)	(40,661)
		37,394	97,322
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური (ზარალი) / მოგება		37,394	97,322

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 17 მარტს.

ნუგზარ მღვდელაძე
დირექტორი

ელენე სამხარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილარი“
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	გ/შ	2020	2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
არამატერიალური აქტივები	6	2,469,325	2,290,588
		5,613	6,603
		2,474,938	2,297,191
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		168,086	24,447
სესხები დაკავშირებულ მხარეებს		177,721	168,815
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	297,887	1,388,015
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,772,101	164,046
		2,415,795	1,745,323
სულ აქტივები		4,890,733	4,042,514
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,720,942	1,698,068
		1,722,942	1,700,068
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი ბანკისგან	8	217,898	328,307
		217,898	328,307
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკისგან სესხის მოკლევადიანი ნაწილი	8	115,483	539,674
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,751,967	1,474,465
მთავრობისგან მიღებული ავანსები	11	1,082,443	-
		2,949,893	2,014,139
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,890,733	4,042,514

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 17 მარტს.

ნუგზარ მღვდელიძე
დირექტორი

ელენე სამხარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილარი“
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	1,599,215	1,601,215
წლიური მოგება	-	97,322	97,322
წინა პერიოდების კორექტირება	-	1,531	1,531
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	1,698,068	1,700,068
წლიური ზარალი	-	37,394	37,394
წინა პერიოდების კორექტირება	-	(14,520)	(14,520)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	1,720,942	1,722,942

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 17 მარტს.

6. გუგუშვი
ნუგზარ მღვდელაძე
დირექტორი

ე. სამხარაძე
ელენე სამხარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილარი“


ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		
კორექტირებები:	37,394	97,322
- ცვეთა და ამორტიზაცია		
- გაუფასურების ზარალი	133,796	131,101
- საპროცენტო ხარჯი, ნეტო	39,382	(19,112)
- წინა პერიოდების კორექტირება	77,428	40,661
მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(14,520)	1,531
მარაგების შემცირება / (ზრდა)	1,050,746	76,969
ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)	(143,639)	(8,529)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	1,359,945	71,122
	<u>2,540,532</u>	<u>391,065</u>
გადახდილი პროცენტი	(95,334)	(64,872)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ნეტო ფულადი სახსრები	<u>2,445,198</u>	<u>326,193</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(311,543)	(485,950)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(562)
სესხები დაკავშირებულ მხარეებს	9,000	51,000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	<u>(302,543)</u>	<u>(435,512)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების (დაფარვა) / მიღება	(534,600)	217,981
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	<u>(534,600)</u>	<u>217,981</u>
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	1,608,055	108,662
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	164,046	55,384
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	<u>1,772,101</u>	<u>164,046</u>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 17 მარტს.


ნუგზარ მღვდელაძე
დირექტორი


ელენე სამხარაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ვარკეთილარი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ვარკეთილში, თბილისი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის დისტრიბუცია: კომპანია ვარკეთილ 3-ს, ვარკეთილ 2-ს, პატარა ლილოს და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიას აწვდის გაზს, რომელსაც იძენს „სოკარისგან“.

კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზის მილსადენების მთლიანი სიგრძეა 52 კმ. კომპანიის აბონენტების რაოდენობა აღემატება 16,000-ს.

კომპანიის მფლობელები არიან:

სს „საინვესტიციო კომპანია ვანო და კომპანია“	35%
ნუგზარ მღვდელაძე	20%
ივანე ცნობილაძე	18%
თეიმურაზ ნიკოლეიშვილი	7%
სხვა მფლობელები	20%
	<u>100%</u>

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“) და მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

2.1. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

გაზის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაზის მრიცხველების ჩვენების საფუძველზე, რომელიც უჩვენებს კომპანიის აბონენტების მიერ გაზის მოხმარებას საანგარიშგებო პერიოდში.

მომსახურების გაწევიდან (გაზმომარაგების აღჭურვილობის დამონტაჟება) მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის თარიღში.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

2.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივად:

- გაზის სადისტრიბუციო ქსელი 2-10%
- სხვა 10%

2.3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

2.4. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხდება ფინანსური აქტივების გადახედვა, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა ობიექტური სამხილი იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთი სამხილების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში. აქტივები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (გაცემული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (მიღებული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო ხარჯი) აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

2.5. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადი.

2.6. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არსებითი ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	ლ / USD	ლ / EUR
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.28	4.02
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წელს	3.11	3.55
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წელს	2.82	3.16
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ამ ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

4. შემოსავალი გაზის მიწოდებიდან

18,230,872 მ³ გაზის დისტრიბუცია გახორციელდა 2020 წელს (2019: 17,266,679 მ³), როცა გაზის დანაკარგი (სხვაობა შეძენილ და მიწოდებულ გაზს შორის წლის განმავლობაში) იყო 2.99% (2019: 2.43%).

გაზი მიეწოდება მოსახლეობას („სოციალური გაზი“) და კომერციულ საწარმოებს („კომერციული გაზი“). სოციალური გაზის ფასი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ („სემეკი“) საშუალებით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ მიწოდებული სოციალური გაზის ფასი შეადგენდა 0.41263 ლარს 1 მ³-ზე (2019: 0.41263 ლ/მ³) და კომერციული გაზის ფასი შეადგენდა 0.84661 ლარს 1 მ³-ზე (2019: 0.94068 ლ/მ³). ფასები მოცემულია დღ-ს გარეშე.

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო და ადმინ. ხარჯები

	2020	2019
რეალიზებული გაზის თვითღირებულება	5,995,074	5,896,840
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,183,638	1,246,324
გამოყენებული მარაგები	198,489	141,367
ცვეთა და ამორტიზაცია	133,796	131,101
სარეაბილიტაციო სამუშაოები	56,891	-
გაუფასურების რეზერვი	39,382	(19,112)
სხვა ხარჯები	199,841	180,293
	7,807,111	7,576,813

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ შეძენილი სოციალური გაზის ფასი შეადგენდა 0.08986 აშშ დოლარს 1 მ³-ზე (2019: 0.105 \$/მ³) და კომერციული გაზის ფასი შეადგენდა 0.20 აშშ დოლარს 1 მ³-ზე (2019: 0.26 \$/მ³). ფასები მოცემულია დღ-ს გარეშე. ამრიგად, კომპანიას უხდება სოციალური გაზის შეძენა აშშ დოლარში ფიქსირებულ ფასში, ხოლო კომპანიის მიერ მოსახლეობისთვის მიწოდებული სოციალური გაზის ფასი ფიქსირებულია ლარში (გ/შ 4). კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნული წარმოადგენს პრობლემას და უნდა მოხდეს მისი გამოსწორება, რათა არ შეექმნას საფრთხე კომპანიის ფუნქციონირებას, აშშ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის გაუფასურების შემთხვევაში. 2020 წელს ამ მიზეზით კომპანიამ იხარა 205,000 ლარი, ხოლო 2021 წლის იანვარში - 97,000 ლარი.

თანამშრომელთა ანაზღაურება მოიცავდა საკვანძო ხელმძღვანელების ანაზღაურებას 279,858 ლარის ოდენობით 2020 წელს (2019: ლ 277,353). კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საგადასახადო შეღავათების შედეგად, თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი (საშემოსავლო გადასახადი) 2020 წლის განმავლობაში შემცირდა 49,000 ლარით.

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

სხვა ხარჯები მოიცავდა ოფისის ფართის იჯარას 20,339 ლარის ოდენობით 2020 წელს (2019: ლ 20,339). საოფისე ფართს ფლობს საწარმო, რომელსაც აკონტროლებენ კომპანიის მფლობელები.

სხვა ხარჯები აგრეთვე მოიცავდა კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო რეგულაციების დაცვის ხარჯებს 15,000 ლარამდე ოდენობით, რისი გაწევაც მოხდა 2020 წლის განმავლობაში.

6. ძირითადი საშუალებები

	გაზის სადისტრიბუციო ქსელი	სხვა ქონება და აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება				
1 იანვარი 2019	2,204,088	96,885	447,063	2,748,036
შეძენა	97,783	52,538	344,140	494,461
ტრანსფერი	791,203	-	(791,203)	-
გასვლა	-	(8,959)	-	-
31 დეკემბერი 2019	3,093,074	140,464	-	(8,959)
შეძენა	301,861	10,980	-	3,233,538
ტრანსფერი	46,000	(46,000)	-	312,841
გასვლა	-	(6,418)	-	-
31 დეკემბერი 2020	3,440,935	99,026	-	(6,418)
				3,539,961
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2019	765,736	47,726	-	813,462
პერიოდის ცვეთა	119,870	10,066	-	129,936
გასვლა	-	(448)	-	(448)
31 დეკემბერი 2019	885,606	57,344	-	942,950
პერიოდის ცვეთა	129,734	4,370	-	134,104
გასვლა	-	(6,418)	-	(6,418)
31 დეკემბერი 2020	1,015,340	55,296	-	1,070,636
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	2,207,468	83,120	-	2,290,588
31 დეკემბერი 2020	2,425,595	43,730	-	2,469,325

გაზის სადისტრიბუციო ქსელის ერთეულები დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად (გ/შ 8).

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

გაზის სადისტრიბუციო ქსელის ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო სხვა ქონების ცვეთის ხარჯი - საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნები გაზის მიწოდებიდან	435,637	1,475,697
სხვა მოთხოვნები	150,799	124,501
გადახდილი ავანსები	14,465	51,449
გაუფასურების რეზერვი	(303,014)	(263,632)
	297,887	1,388,015

თვის განმავლობაში გაზის მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დაფარვა ხდება მომდევნო პერიოდებში. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ დაფარა აბონენტთა ნაწილის დავალიანება (იხ. გ/შ 11).

8. მიღებული სესხები

	2020	2019
„თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი	217,898	328,307
„თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი	115,483	539,674
	333,381	867,981

სს „თიბისი ბანკისგან“ სესხი არის ლარში და მისი სარგებელი შეადგენს 10.5%-ს. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ქონებით (გ/შ 6) და კომპანიის მფლობელთა თავდებობებით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
გაზის მომწოდებლისადმი დავალიანება	1,470,610	1,134,095
გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დავალიანება	100,752	43,105
სახელფასო დავალიანება	7,795	171,208
სხვა ვალდებულებები	27,005	52,026
გადასახდელი გადასახადები, ნეტო	22,432	17,830
მიღებული ავანსები (გარდა მთავრობისგან მიღებულისა)	123,373	56,201
	1,751,967	1,474,465

შპს „ვარკეთილარი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბერს არსებული ნაშთის ძირითადი ნაწილი განთავსებული იყო საანაბრე ანგარიშზე „საქართველოს ბანკში“. აგრეთვე იხილეთ გ/შენიშვნა 11.

11. მთავრობისგან მიღებული ავანსები

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 28 დეკემბერს კომპანიას ჩაურიცხა 2,133,000 ლარი იმ აბონენტების დეკემბრის და იანვრის დავალიანების დასაფარავად, რომლებმაც აღნიშნული თითოეული თვის განმავლობაში მოიხმარეს 200 მ³-მდე გაზი. შესაბამისად, 1,082,443 ლარი არის ამ აბონენტების 2021 წლის იანვრის დავალიანების დასაფარავად ავანსად მიღებული თანხა.

2020 წლის განმავლობაში მთავრობამ ანალოგიურად დაფარა მარტის, აპრილის, მაისის და ნოემბრის დავალიანებები და გეგმავს 2021 წლის თებერვლის დავალიანების დაფარვას.

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები და ნაშთები კომპანიის მფლობელებთან, მათ მიერ კონტროლირებად საწარმოსთან და საკვანძო ხელმძღვანელობასთან, წარმოდგენილია ზემოთ გ/შენიშვნებში. სხვა არსებით ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან არ ჰქონია ადგილი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 მარტს.

2021 წლის თებერვალში კომპანიამ „თიბისი ბანკისგან“ აიღო 545,000 ლარის ოდენობის სესხი საოპერაციო ხარჯების (გაზის მომწოდებლის დავალიანების) დასაფარავად.

კორონავირუსის პანდემია არ არის დასრულებული და არაპრაქტიკულია ამ მოვლენის პოტენციური ზეგავლენის შეფასება.

6. გოგუშვი

ე. ნიჭიშვილი

